

ინგა ღუტიძე

გეორგიევსკის ტრაქტატი და ენის საკითხი

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება – *გეორგიევსკის ტრაქტატი*.

გეორგიევსკის ტრაქტატი, ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ, საქართველოს ისტორიაში დიდი მნიშვნელობის მიძიმე და მტკივნეული დოკუმენტია, რომელიც მუდამ დარჩება მკვლევართა ყურადღებისა და განსჯის საგნად.

გეორგიევსკის ტრაქტატის შესწავლის ისტორია დაკავშირებულია პ. ბუტკოვის (1869), ალ. ცაგარელის (1898, 1901), ივ. ჯავახიშვილის (1919), დ. ენუქიძის (1949), ი. ცინცაძის (1960), ი. დოლიძის (1965), გ. პაიჭაძის (1980), ზ. ცქიტიშვილის (1982), ვ. მაჭარაძის (1988), ვ. გურულის (2013) სახელებთან.

გეორგიევსკის ტრაქტატის დედნები ორივე მხარეთა ენაზე დაიწერა და ორივე ტექსტი თანაბარი ძალისა იყო, ამიტომ მათ ახლდა „თარგმანი“ მეორე ენაზე (ქართულ დე-დანს – რუსული „თარგმანი“, ხოლო რუსულს – ქართული).

გეორგიევსკის ტრაქტატი საყურადღებოა არა მხოლოდ საქართველოს ბედის ხანგრძლივად გადაწყვეტის, არამედ რუსულ-ქართული ურთიერთობის, ქართული დიპლომატიის ენისა და ენობრივი საკითხების თვალსაზრისითაც.

ტრაქტატის ქართული პროექტი, რომელიც 1783 წლის მაისში საქართველოში პოდპოლკოვნიკმა ტამარამ ჩამოიტანა, ჩვენი ვარაუდით, პეტერბურგში შესრულებული რუსული პროექტის თარგმანი იყო. ჩვენივე ვარაუდით, მთარგმნელი უნდა ყოფილიყო მოსკოვის ქართულ კოლონიაში აღზრდილი, ქართული და რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე და 60-80-იან წლებში დოკუმენტების ცნობილი მთარგმნელი, აკადემიის სტამბაში 1783 წლის ბოლოსა და 1785 წლის და-

საწყისში დაბეჭდილი ქართული ტექსტის რედაქტორი თავადი ანტონ მოურავიოვი (თარხან-მოურავი) (АБПР6ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 18, 35-47; მაჭარაძე, 1983:29).

ხელშეკრულების ქართულ ტექსტს რედაქცია რამდენჯერმე გაუკეთდა, თუმცა ტექსტი ძალიან მძიმე და ხელოვნურია, რადგან ტექსტის ერთ-ერთი რედაქტორი ანტონ კათალიკოსია, რომელმაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სამწერლო ენაზე დიდი გავლენა მოახდინა.

ხელშეკრულების ქართულ ტექსტს თბილისში 1783 წლის მაის-ივნისში რედაქცია გაუკეთეს ერეკლე II-მ, ანტონ კათალიკოსმა და მისმა მოწაფემ, თელავის სემინარიის რექტორმა გაიოზ არქიმანდრიტმა. მათვე გაუკეთებიათ შენიშვნები რუსულ ტექსტზეც (ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. 1, лл. 117-118).

გეორგიევსკში 1783 წლის 19-23 ივლისს ხელშეკრულების დედნის ქართულ ტექსტს საბოლოო რედაქცია გაუკეთეს გაიოზ არქიმანდრიტმა და მოსკოვის კოლონიის აღმზრდელებმა, პორუნიკებმა ჩოლოყაშილმა და სევარსამიძემ (იქვე, 164-176), ხოლო საქართველოს მხრივ სარატიფიკაციო სიგელის საბოლოო რედაქცია (1783 წლის აგვისტო – 1784 წლის იანვარი) ეკუთვნის ერეკლე II-ს, ანტონ კათალიკოსსა და გაიოზ არქიმანდრიტს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი II, საქმე № 2073-ა, № 2073-ბ). ასევე ტექსტთან დაკავშირებული ჩანს ს. ლეონიძე (გაზ. “კომუნისტი”, 1981 წლის 27 სექტემბერი).

ამრიგად, ხელშეკრულების ქართულ ტექსტთან ერთდროულად დაკავშირებული აღმოჩნდა სამი სკოლა: მოსკოვის ქართული კოლონიის, თბილისისა და ანტონ კათალიკოსისა, რომელმაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სამწერლო ენაზე დიდი გავლენა მოახდინა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამივე სკოლამ განიცადა რუსულის გავლენა, როგორც ეს დაბეჭდილი დოკუმენტებიდანაც კარგად ჩანს (გეორგიევსკის ტრაქტატი, 1983:29).

როგორც დოკუმენტების შესწავლიდან ჩანს, გეორგიევსკის ხელშეკრულება დიდი ხანი მზადდებოდა და შედგება

მთელი რიგი დოკუმენტებისგან, რომლებიც ტრაქტატის განუყოფელი ნაწილია:

- 1771 წ. დეკემბრის 30. – ერეკლე მეორის მიერ ეკატერინე მეორისათვის გაგზავნილი ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო ითხოვდა რუსეთის მფარველობაში შესვლას;

- 1772 წლის იანვრის 6. – ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა რუსეთის იმპერატორს: თუ ქვეყანა მფარველობაში იქნება მიღებული, როგორ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ მათ თურქეთთან და სპარსეთთან ბრძოლაში, რუსეთის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლების აღიარებაზე ხელს არ აიღებენ;

- საკუთრივ 1783 წ. ივლისის 24. – გეორგიევსკის ტრაქტატის (ხელშეკრულების) დედანი;

- 1784 წ. – გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი (რატიფიცირებული ტექსტი) საქართველოს მხრივ.

გეორგიევსკის ტრაქტატთან ერთად დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა ფიცის ნიმუში (*სახე*), რომელიც ერეკლე II-ს უნდა მიეღო ტრაქტატის რატიფიკაციის შემდეგ. ასევე აქვე უნდა აღინიშნოს 1783 წლის 28 ივნისის რწმუნების სიგელი, მიცემული ერეკლე მეორის მიერ იოანე ბაგრატიონისა და გარსევან ჭავჭავაძისათვის რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად.

გეორგიევსკის ტრაქტატს 1983 წელს ფართოდ აღუნიშნეს ორასი წლის იუბილე, გამოიცა დოკუმენტები, ფოტოპირები, გამოკვლევა, მაგრამ ენის თვალსაზრისით დოკუმენტი კვლავაც შეუსწავლელია. კ. დანელია ყურადღებას მხოლოდ ორთოგრაფიულ ფორმებსა და პუნქტუაციაზე ამახვილებს (დანელია 1983: 94-96).

ამჯერად გვსურს ყურადღება შევაჩეროთ 1771 წ. დეკემბრის 30. – ერეკლე მეორის მიერ ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილ ხელშეკრულების პროექტზე, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა.

ამ დოკუმენტში მეფე ერეკლე ჰპირდება ეკატერინე მეორეს საუკუნო მორჩილებას და ითხოვს ოთხი ათასი კაცისგან შემდგარ ჯარს, წართმეული ქვეყნების დაბრუნებას,

ოსმალთაგან წართმეული ადგილების დაბრუნებასა და სხვადასხვა ხარჯის გაღებას.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში საგანგებო ადგილი უჭირავს *ახალციხის ქვეყანას*, რომელიც სამცხე-საათაბაგოს სახელითაა სახელდებული 1783 წლის 28 ივნისის რწმუნების სიგელში, რომელიც ერეკლე მეორემ იოანე ბაგრატიონსა და გარსევან ჭავჭავაძეს გადასცა რუსეთთან ხელშეკრულების დასადავლად.

მეფე ერეკლე ეკატერინე მეორეს ევედრება, რომ ამავე გაზაფხულს დაუპყრობელი არ დატოვონ „*ქვეყანა ახალციხისა*“ და თუ რუსეთის ხელმწიფე და სულთანის შერიგდებიან, იმ შემთხვევაშიც ის რუსეთის საზღვრებსა და ყურადღების მიღმა არ დარჩეს სამი გარემოების გამო:

1. *ახალციხის ქვეყანა საქართველოა;*
2. *აქ მცხოვრებთა ენა ქართულია;*
3. *აქ ბევრი ქრისტიანია და ვინც მაჰმადიანია, რჯული ახალი შეცვლილი აქვს.*

კუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ეოვლად მოწყალებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს თქვენის დიდებულებისა სულთანისა, მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაჲდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 60).

ხელშეკრულების პროექტში აღნიშნულია, რომ წართმეული ქვეყნები ბევრია და როდესაც მათ საერთო მტერს წაართმევენ, რაც ჯარის შესანახად ფული დაიხარჯება, იმას ამ დაბრუნებული ქვეყნებიდან კვლავ უკან დაუბრუნებენ. ხელშეკრულების პროექტში მხოლოდ ორი ქვეყანაა დასახელებული: *კახეთი* და *ახალციხე*. ენის საკითხი მხოლოდ *ახალციხის ქვეყანასთანაა* აღნიშნული. *ახალციხის ქვეყანაში* კი სამცხე-საათაბაგო და მთლიანად საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს, რასაც ადასტურებს 1783 წლის 28 ივნისის რწმუნების სიგელი, მიცემული ერეკლე მეორის მიერ იოანე ბაგრატიონისა და

გარსევან ჭავჭავაძისათვის რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად, სადაც ერეკლე II მოხსენიებულია როგორც მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი: “*მთავართვთ უმდაბლესი თხოვად ჩუზნ, ირაკლი მეორემან, მეფემან ქართლისა და კახეთისამან, მემკვდრემან მთავარმან სამცხე-საათაბაგოსამან...*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 65).

ამრიგად, დოკუმენტში ენის საკითხი დასმულია მხოლოდ *ახალციხის ქვეყანასთან* დაკავშირებით და ხაზგასმულია მისი განუყოფლობა საქართველოსგან ქართული ენის საფუძველზე.

1. რატომ დაისვა ენის საკითხი მხოლოდ *ახალციხის ქვეყანასთან* დაკავშირებით, მაშინ როდესაც ქართლიც და კახეთიც ამ პერიოდში უმძიმეს ვითარებაში იყო ირანის, ოსმალეთის პოლიტიკისა და ლეკთა თარეშის გამო?

2. გვაქვს თუ არა იგივე საკითხი 1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელშეკრულების დედანში და 1784 წლის 24 იანვრის სარატიფიკაციო სიგელში საქართველოს მხრივ (რატიფიცირებულ ტექსტში)?

XVI საუკუნის ბოლოს სამცხე-საათაბაგო თურქებმა დაიპყრეს და 1625 წელს მან, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა. “*მიწათმფლობელობის ქართული წესი ოსმალური წესით შეიცვალა. მიწის დროებით მფლობელად სამხედრო ვალდებული გამოცხადდა. სამხედრო ვალდებული კი მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო. ამან დააჩქარა სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) ისლამიზაცია. ნელ-ნელა ჯერ ფეოდალები გამაჰმადიანდნენ, შემდეგ – გლეხები. გლეხების გამაჰმადიანებამ ინტენსიური ხასიათი XVIII საუკუნის შუა ხანებიდან მიიღო*” (თოფჩიშვილი 2017: 312).

ვახუშტი ბატონიშვილი სამცხისა და სამცხელების აღწერისას მიუთითებს: “*კაცნი და ქაღნი არიან მზგავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მკნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-კელოვნების მოყუარენი, არმედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტეს ჩქკვ, ქართულისა ტ’იდ-მდე სრულიად ქრისტიანენი ქართველთა*

თანა და სამწესონი ქართლის კათალიკოსისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარწინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვსთა სახლებთა ანუ ურთიერთობის მეგობრობათა შინა იტყვან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარწინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტიანენი ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა, ვითარცა თრიალელნი და გულისკმა ჰყავ ეგრეთვე ქალნიცა მათნი, არამედ გლეხნი კუაღადცა მაჰმადიანდებიან ჭირისათვს დიდისა” (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 660).

გამაჰმადიანებული ქართველების ნაწილმა ქართული ენა დაივიწყა და მათი ურთიერთობის ენად თურქული იქცა. მათ გვერდით ქრისტიანი ქართველებიც იძულებული იყვნენ სცოდნოდან თურქული ენა.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ენის თვალსაზრისით, ისევე როგორც პოლიტიკური, ყველაზე სავალალო მდგომარეობა სამცხე-საათაბაგოსა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იყო, რის გამოც საჭირო გახდა ხელშეკრულების პროექტში ამის საგანგებოდ ჩაწერა და მისი მოგვარება. არც ქართლში, სადაც ოსმალთა 1735 წლამდე გაგრძელდა და კახეთშიც, ირანის მუდმივი აგრესიის ქვეშ, ენის თვალსაზრისით, ისეთი მძიმე ვითარება არ იყო, როგორც სამცხე-საათაბაგოში.

“რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ ოფიციალურად რუსეთის ჯარი იმერეთის სამეფოში გაიგზავნებოდა, შემდეგ ეს ჯარი იმერეთის სამეფოს ჯართან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდოდა და რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჯარები ერთად დაიძვრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის (აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, ახალქალაქის) ოსმალთა ბატონობისგან გასათავისუფლებლად (გურული 2011: 37). ამ კავშირით ერეკლე II-ს შესაძლებლობა ეძლეოდა სამცხე-ჯავახეთი დაებრუნებინა, იმერეთის მეფე სოლომონ I იმერეთში ოსმალეთის გავლენას ან დაასრულებდა, ან შეასუსტებდა (გურული 2011: 38).

სწორედ ამ ფაქტორების გამო ერეკლე II დოკუმენტში ეკატერინე მეორეს იმის გადარჩენას ევედრება, რაც მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ სამ ღვთაებრივ საუნჯედ შერაცხა, რომლებსაც მთელმა ერმა უნდა უპატრონოს მომავლისათვის პასუხის გასაცემად: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: **მამული, ენა, სარწმუნოება**. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავეუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილ ფორმულას მე-18 საუკუნეში ერეკლე II ასე აყალიბებს: **საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი მაჰმადიანობაზედ**.

გეორგიევსკის ტრაქტატში არ ასახულა ხელშეკრულების პროექტში გაწერილი ვედრება ერეკლე II-ისა ახალციხის, სამცხე-საათაბაგოსა და ზოგადად მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისა და ქართული ენის შესახებ. რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდხანს ფიქრობდნენ დასადები ტრაქტატის თაობაზე. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ენის საკითხს იმ პერიოდში საგანგებოდ ჩაუღრმავდა ეკატერინე II და საიმპერატორო გარემოცვა. მათთვის საკითხის პოლიტიკური ჭრილი იყო მთავარი, რის გამოც ხელშეკრულების პროექტის ეს ნაწილი ტრაქტატის დედანში ვერ აისახა.

ამ პოლიტიკური კავშირით ერეკლე II-ს შესაძლებლობა ეძლეოდა სამცხე-ჯავახეთი დაებრუნებინა, მაგრამ „სამცხე-ჯავახეთის“ შენარჩუნებისათვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი და ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა. ამ ტერიტორიის შენარჩუნება ვერც რუსთა მცირე რაზმით (1000-2000 კაცი) იქნებოდა შესაძლებელი. სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში ერეკლე II სხვა დიდი პრობლემის წინაშეც დგებოდა: ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად ხდებოდა ორი დიდი სახელმწიფოს – ირანისა და ოსმალეთის დაინტერესების, ანუ აგრესიის ობიექტი“ (გურული 2013: 19).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1886 წლის საოჯახო სიები. ამ სიებით სამცხის ქართველ მაჰმადიანთა თექვსმეტი სოფლის მოსახლეობის ენა კვლავ ქართული იყო, თუმცა ისინი ორენოვანნი არიან ამ სიებით და ქართულთან ერთად თურქულ ენაზეც ლაპარაკობდნენ. დანარჩენ ქართველ მაჰმადიანთა ენა უკვე თურქულია (Свод ...1893). ეს სრულიად ბუნებრივი შედეგია, თუ გავიხსენებთ, რა მოჰყვა რუსთა „დიდ“ შემოსვლას საქართველოში და რა ენობრივ პოლიტიკას ატარებდნენ ისინი საქართველოს ანექსიის შემდეგ.

ყურადღებას იქცევს საქართველოს აღსანიშნავად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები 1783 წლის 28 ივნისის რწმუნების სიგელში, რომელიც ერეკლე II-მ იოანე ბაგრატიონსა და გარსევან ჭავჭავაძეს გადასცა რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად. აქ საქართველოს აღმნიშვნელია *ივერია, ქართლი და საქართველო*. „*მბრძანებელისა და კელმწიფისა ივერთა ქუჭყნისა, ქართლისა და საქართულოდსა მეფეთა...*“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 65). აქ სამივე პოლიტონიმი თანაბარი მნიშვნელობისაა.

ერეკლე II ამავე დოკუმენტსა და ტრაქტატის დედანში მოიხსენიება როგორც მეფე ქართლისა და კახეთისა: „...*სხუათა მემკვდრისა კელმწიფისა და მფლობელსა მივართვთ უმდაბლესი თხოვად ჩუწნ, ირაკლი მეორემან, მეფემან ქართლისა და მეფემან კახეთისამან სახელითა თვისითა...*“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 65). „...*უგანათლებულესობა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თვისითა*“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 68). თუმცა, ტრაქტატშივე *ქართლის//ქართლელთა* მნიშვნელობით დასტურდება ეთნონიმი *ქართველთა*: „...*მეფეთა ზედა ქართუელთა და კახეთისათა, ყოვლად უმოწყალებლობით ინება აღდგინება და დამტკიცებად მეგობრობითისა პირობისა...*“ (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 67).

ამდენად, დოკუმენტში, ერთი მხრივ, *ქართლი* გამოიყენება საქართველოს ფარდად და, მეორე მხრივ, ეთნონიმი *ქართველი* აღნიშნავს ქართლელებს.

ყურადღებას იქცევს მიმღეობის წარმოება. საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის თანახმად, ჰპრეფიქსიანი მიმღეობა მოქმედებითი გვარის მიმღეობადაა მიჩნეული, რომელიც დროის გაგებისგან დაცლილია (შანიძე 1973). ტრაქტატში ჰპრეფიქსიანი მიმღეობა ენაცვლება სპრეფიქსიან მიმღეობას და ამ შენაცვლებით ვიღებთ საინტერესო წარმოებას – **მჭირსი**: “*დამტკიცებისათვის ვითარმედ ჰქაქსრი მისისა უგანათლებულესობისა განსჯითა ესოდენ მჭირსისა შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა და აღსარებისათვის უზენაესისა ჯელმწიფებისა ყოვლად-უუბრწყინუალესისა ამის იმპერიისა მფლობელთასა...*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 67); “*...პირველად, ერთა მის სამეფოსათა შერაცხს ყოვად მჭირსითა კავშირითა სრულებით თანაგმად იმპერიისა თანა თვისითა*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 69). თუმცა ტექსტში გვხვდება მიმღეობა საჭიროც: “*რათა ადვლად აქ უნდესმცა ყოველივე იგი საჭიროდ მიწერ-მოწერად...*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 69).

-*ელ სუფიქსის ორმაგი გამოყენება*: “*ყოველნი იგი იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირუჭლესობითა და სარგებელითა*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 69-70). 1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატის (ხელშეკრულების) დედანში საიდუმლო მუხლებს მოსდევს დამატებითი მუხლი, რომელიც საქართველოში მეფეთა უძველესი დროიდან კურთხევისა და მათ ინვენსტიტურას, სამეფო რეგალიებს ეხება. ეს ნაწილი საქართველოს მხრივ რატიფიცირებულ ტექსტში არ გვაქვს. ეს ნაწილი საინტერესოა იმიტომ, რომ ვინაობის წარმოების თვალსაზრისით: “*ვინაითგან მეფენი ქართლისანი და კახეთისანი ძუჭლით დროთგან იგვრგვოსნებიან სამეფოთა გვრგვნითა და იცხებულებიან სამეფოსა ზედა წმიდითა მირონითა...*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 72).

ვინაობითი გვარის ფორმებში სპრეფიქსის ზმნისწინის წინ ხმარება: “*...შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდვილი ზედმიწევნილება, თუ რომელსა ვითარიმე ეშესაბამების სამართალი*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 70).

ქართული ყალიბით წარმოდგენილი რუსიზმები: *მოკამანდე*. “ასტრახნის ღებურნიის მჯედრობისა *მოკამანდე*, მისის იმპერატორების დიდებულეებისა დეისტეიტელნი კამერლერი...” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 67).

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ირაკლი თეიმურაზოვი-ჩად არის სახელდებული: “*ჰაქშრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მიღებულ-იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულეებისა მიღებისათვის ყოველითა მეძკვიდრითა...*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 67).

ტრაქტატის დედანში სოციალური წოდების აღმნიშვნელი **თავადი** საკმარისი არ აღმოჩნდა და აუცილებლად მიუჩნევიათ **კნიაზის** დამატება: “...*ხოლო უგანათლებულესობამან ქართლისა და კახეთის მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან აღირხია და სრულისა ძალისა ჰყუნა კერძოთ თვისთ ბრწყინუალენი სამჯედროსა თვისსა მემარცხ[ე]ნე სპასპეტი კნიაზი თავადი იოანე კონსტანტინევიჩი ბაგრატიონი...*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 68).

ამის პარალელურად 1784 წლის 24 იანვრის გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელში (რატიფიცირებული ტექსტი) საქართველოს მხრივ შექმნილია სქესის აღმნიშვნელი ხელოვნური ფორმები, რაც უცხოა ქართულისთვის:

“...*მეფა ყაზანისა, მეფა ასტრახნისა..., მთავრინა ისტლანდიისა... ხელმწიფა და დიდი მთავრინა ნოვოროდის...*” (გეორგიევსკის ტრაქტატი 1983: 81).

“გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო იმხანად საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით (მხარეების მიერ ტრაქტატის პროექტების შედგენა და განხილვა, ტრაქტატის ტექსტის მომზადება, სრულუფლებიანი დელეგაციების დანიშვნა, მოლაპარაკება, ტრაქტატის საბოლოო ტექსტის შეთანხმება და ხელმოწერა, ტრაქტატის რატიფიკაცია და გამოქვეყნება) (გურული 2013: 53).

ამდენად, გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოს ისტორიაში საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით მიღებული პირველი საერთაშორისო

დოკუმენტია, სადაც ქართული ენის მნიშვნელოვან როლზეა ყურადღება გამახვილებული.

დამოწმებული ლიტერატურა

ბატონიშვილი ვახუშტი 1973 – ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი*. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1973.

ბუტკოვი 1869 – Бутков П. Г., *Материалы для новой истории Кавказа*. Часть. I-III. СПб., 1869.

გაზეთი “კომუნისტი”, 1981 წლის 27 სექტემბერი.

გეორგიევსკის 1983 – გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბილისი, ხელოვნება, 1983.

გურული 2011 – გურული ვ., *საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921)*. თბილისი, უნივერსალი, 2011.

გურული 2013 – გურული ვ., *გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.)*. თბილისი, უნივერსალი, 2013.

დანელია 1983 – *რელაქტორისგან* წიგნში *გეორგიევსკის ტრაქტატი*, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბილისი, ხელოვნება, 1983.

თოფჩიშვილი 2017 – თოფჩიშვილი რ., *საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები*. თბილისი, საჩინო, 2017.

მაჭარაძე 1988 – მაჭარაძე ვ., *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის*. ნაწილი III, ნაკვეთი I. თბ., ხელოვნება, 1988.

პაიჭაძე 1980 – პაიჭაძე გ., *გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა*. თბილისი, მეცნიერება, 1980.

საერთაშორისო 1949 – საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოკუმენტები, **1949** – შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ. თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა, 1949.

ქსდ 1965 – ქართული სამართლის ძეგლები 1965 – ტომი II. ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი, მეცნიერება, 1965.

შანიძე 1973 – შანიძე ა., *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973.

ცინცაძე 1960 – ცინცაძე ი., *1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ.*, საბჭოთა საქართველო, 1960.

ცქიტიშვილი 1982 – ცქიტიშვილი ზ., *გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა*. თბილისი, მეცნიერება, 1982.

ჯავახიშვილი 1919 – ჯავახიშვილი ივ., *დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII საუკუნეში*. თფილისი, სახელმწიფო სტამბა, 1919.

Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под редакцией А. А. Цагарели. Том II, выпуск I. СПб., 1898.

АБПР бф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 18, 35-47. **ЦГВИА**, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. 1, лл. 117-118.

Свод 1893 – Свод статистических данных о населении Закавказского Края извлеченных из посемейных списков, Тифлис, 1893.

Inga Ghutidze

The Treaty of Georgievsk and the Issue of the Language

On July 24, 1783 the Treaty of Georgievsk was signed between the Kartl-Kakheti Kingdom (Georgia) and the Russian Empire in the Russian fortress of the North Caucasus - Georgievsk.

The Treaty of Georgievsk consists of a number of documents, among them of the *Draft of the Agreement* (December 30, 1771), in which Kartl-Kakheti Kingdom asked to enter into Russia's patronage.

In this document King Erekle II promises Ekaterine II eternal subordination and pleads with her not to leave "*Akhaltsikhe Country*" outside of Russia's borders and attention due to three circumstances:

1. *Akhaltsikhe Country* is Georgia;
2. The language of the inhabitants is Georgian;

3. There are many Christians here and those, who are Muslims, have changed confession recently.

The paper aims to provide description and analysis of the meaning of *Akhaltzikhe Country*, the issue of language relation only to the *Akhaltzikhe Country*, what was going on in South-West Georgia from 16th century and whether the same question can be confirmed in the origin of the Treaty of Georgievsk on 24, July 1783 as well as in the text, ratified by Georgia on January 24, 1784.

By the end of the 16th century south-west Georgia was conquered by Turks. Some of the Georgians, converted to Islam, have forgotten the Georgian language and Turkish has become the language of the relationships. Christian Georgians were also forced to learn Turkish.

In the history of Georgia and Caucasus in general the Treaty of Georgievsk is the first international document, where the importance of the Georgian language and its integrity from territory are emphasized.

Key-words: *Georgia, Akhaltzikhe country, The Treaty of Georgievsk, language, territory, inhabitants, the first international document*